პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება
Political Science

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
Bachelor of Arts in Political Science

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 240 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელები: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე, პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის აღწერა

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალს, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანებით. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვენენ ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი, ამჟამად ემერიტუს-პროფესორი, დიდი ბრიტანეთი), სტივენ არისი, (კარლეტონის უნივერსიტეტის პროფესორი, კანადა) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკის დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდატებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პროგრამის შედგენისას დეპარტამენტის წევრები ხელმძღვანელობდნენ პოლიტიკის მეცნიერების ეროვნული ასოციაციების მიერ ევროპის კონფერენციაზე შემუშავებული რეკომენდაციებით, რომელიც ბოლონიის პროცესთან დაკავშირებით პოლიტიკის მეცნიერების სწავლებაში უმაღლეს სასწავლებლების სამოქმედო პროგრამას წარმოადგენს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი: პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაის მიზანია სტუდენტებს მისცეს ცოდნა როგორც ზოგადად პოლიტიკის მეცნიერების, ისე პოლიტიკის მეცნიერების ცალკეული სუბ-დისციპლინების (პოლიტიკური თეორიის, შედარებითი პოლიტიკის, საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების, მსოფლიო პოლიტიკის, პოლიტიკური კულტურა/კომუნიკაციების, პოლიტიკური მეთოდოლოგიის) შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდის შედეგები.

სწავლის შედეგი:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი ფლობს პოლიტიკის მეცნიერების ცნებით-კატეგორიულ აპარატსა და მეთოდოლოგიას, იცნობს დარგის განვითარების ისტორიას პოლიტიკის მეცნიერების კლასიკური ნაშრომების შესწავლის საფუძველზე და ერკვევა პოლიტიკური მეცნიერების დღევანდელ სტრუქტურაში, შეუძლია პოლიტიკის მეცნიერების სუბ-დისციპლინებისა და მათი შესწავლის ობიექტების იდენტიფიცირება; იცის პოლიტიკის მეცნიერების ადგილი და ერკვევა პოლიტიკის მეცნიერების კავშირში სხვა სოციალურ მეცნიერებებთან; იცის პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი თეორიული პარადიგმები, თეორიები, კონცეფციები და მოდელები და შეუძლია მათი ინტერპრეტაცია, იცის რაოდენობრივი, თვისებრივი და პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული კვლევის ჩარჩოები, იცნობს და ერკვევა ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებსა და სტანდარტებში, შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:** შეუძლია მიღებული თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე პოლიტიკური სისტემებისა და პროცესების ფუნდამენტურ, ემპირიულ და გამოყენებით დონეზე ინტერპრეტაცია და ანალიზი, რაც მას საშუალებას აძლევს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ჩაერთოს კვლევით და პრაქტიკული ხასიათის პროექტებში როგორც დამხმარე პერსონალი.
- **დასკვნის უნარი:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს უნარი განსაზღვროს და საფუძვლიანად შეისწავლოს პოლიტიკის მეცნიერებების პრობლემატური საკითხები, შეაგროვოს და სიტემატიზაციაში მოიყვანოს მეორადი მონაცემები და შერჩეული თეორიული ჩარჩოსა და მოდელის საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები.
- **კომუნიკაციის უნარი:** საბაკალავრო სწავლების პროცესში მიღებული ცოდნის, ანალიტიკური ნაშრომების შესრულებისა და მათი პრეზენტაციის გამოცდილების შედეგად პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარ-ჩვევები, სასემინარო მუშაობის ფორმატი კი მას უვითარებს საჯარო დისკუსიებსა და განხილვებში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს.
- **სწავლის უნარი:** პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრს აქვს საბაზისო თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნა სწავლის შემდგომ საფეხურზე გასაგრძელებლად, ასევე საბაკალავრო სწავლების დროს მიღებული გამოცდილება აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად იმუშაოს თვითგანვითარებასა და მეტი ცოდნის შეძენეზე მთელი სიცოცხლის მანძილზე.
- ღირებულებები: პოლიტიკის მეცნიერების სფეროში დაგროვილი ცოდნა სტუდენტს აძლევს ცოდნას სამართლებრივი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, ტოლერანტობის, დემოკრატიის და სხვა ღირებულებათა რაობისა და მნიშვნელობის, აგრეთვე მათი მრავალფეროვნების, დამკვიდრების გზებისა და მეთოდების შესახებ. რაც მას აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში.

სწავლების შედეგი:

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შედეგად ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით. სწავლება ბაკალავრიატის დონეზე უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებათა

სპეციალისტების მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისთვის სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში და სკოლებში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. ბაკალავრის ხარისხის მიღების შედეგად ბაკალავრს პოლიტიკურ მეცნიერებაში შეუძლია: ჩაერთოს დარგის სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის პროცესში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე. მას ექნება აუცილებელი ცოდნა სახელმწიფოსა და თვითმმართველობის ორგანოებში ან პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში მუშაობისთვის როგორც დამხმარე პერსონალს ან ასისტენტს.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

1. ვერბალური/წერითი
2. წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე მუშაობა
3. დემონსტრირების მეთოდი (ვიდეო-აუდიო, ფოტო, PPP მასალების მეშვეობით)
4. ახსნა–განმარტებითი მეთოდი
5. დისკუსია/დებატები,
6. ჯგუფური მუშაობა
7. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება(PBL)
8. შემთხვევის ანალიზი (case-study)
9. გონებრივი იერიში (Brain storming)
10. როლური და სიტუაციური თამაშები
11. ელექტრონული სწავლება (ჰიბრიდული) - თსუ ელექტრონული სწავლების პორტალი

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX

0-40	ჩაიჭრა, F

სასწავლო გეგმა:

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად პოლიტიკის მეცნიერებაში სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც გულისხმობს შემდეგი კურსების გავლას:

საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 45 კრედიტი (ECTS):

25 კრედიტი - საფაკულტეტო საბაზისო სავალდებულო კურსები (მათ შორისაა ინგლისური ენა 10 კრედიტის მოცულობით);
5 კრედიტი - ერთი საფაკულტეტო არჩევითი კურსი;
15 კრედიტი - 3 საფაკულტეტო შესავალი კურსი.

პოლიტიკის მეცნიერების მაპროფილებელი სასწავლო კურსები - 120 კრედიტი (ECTS):

45 კრედიტი - პოლიტიკის მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსები, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომის შესრულება – 10 კრედიტი;
75 კრედიტი - პოლიტიკის მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები,

თავისუფალი კრედიტები - 15 კრედიტი (ECTS)

დამატებითი სპეციალობის (Minor) ან სხვა სასწავლო კომპონენტების კრედიტები: 60 კრედიტი (ECTS)
გამომდინარე იქიდან, რომ დამატებითი სპეციალობის აღება ნებაყოფლობითია, სტუდენტს შეუძლია უარი თქვას მასზე და ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტები მისთვის სასურველი ნებისმიერი სასწავლო კომპონენტების საფუძველზე დააგროვოს.

სასწავლო გეგმის დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში # 2.2.

დასაქმების სფეროები: პოლიტიკის მეცნიერების საბაკალარო პროგრამის კურსდამთავრებულის როგორც დამხმარე სპეციალისტის დასაქმების პოტენციური სფერო შეიძლება იყოს

- საჯარო დაწესებულებები
- არასამთავრობო სექტორი
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- კერძო სექტორი
- მასმედია

დამატებითი ინფორმაცია:

პოლიტიკის მეცნიერების საბკალავრო პროგრამის არჩევა სტუდენტის მიერ უნდა ხდებოდეს არაუგვიანეს მეოთხე სემესტრისა. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდნეტს მოუწევს დამატებითი სემესტრის გავლა საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნის შესასრულებლად. პოლიტიკის მეცნიერების როგორც სწავლების ძირითადი სპეციალობის არჩევისას სასურველია დამატებითი სპეციალობის სახით კომბინირება მოხდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა შემდეგ სპეციალობებთან: სოციოლოგია, საზოგადოებრივი გეოგრაფია, ჟურნალისტიკა და მასობრივი კუმუნიკაცია. ასევე შესაძლებელია კომბინირება თსუ–ის სხვა ფაკულტეტიების, განსაკუთრებით კი ეკომომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დამატებითი სპეციალობის პროგრამებთან. მსგავსი კომბინაცია იძლევა პოლიტიკის მეცნიერების თვალსაწიერის გაფართოებისა და შემდგომში დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის საშუალებას.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

№	გვარი, სახელი	აკადემიური თანამდებობა	ხარისხი
1	მაცაბერიძე მალხაზი	პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
2	კუხიანიძე ალექსანდრე	პროფესორი	ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
3	კაკაჩია კორნელი	პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
4	დუნდუა სალომე	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
5	მაჭარაშვილი ნანა	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
6	ჟორჟოლიანი გია	პროფესორი	ისტორიის მეცნიერების დოქტორი
7	აბაშიძე ზვიადი	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
8	დოლიძე ვალერიანი	ასისტენტ-პროფესორი	ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
9	ტუკვაძე ავთანდილი	ასოცირებული პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
10	ქარაია თამარი	ასისტენტ-პროფესორი	პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

- უნივერსიტეტის რესურს-ცენტრები
- თსუ–ს ელექტრონული სწავლების პორტალი
- ელექტრონული ჟურნალები
- უნივერსიტეტისა და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა

დანართი 2.2

პროგრამის სტრუქტურა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

<u>უნივერსიტეტი</u>/<u>მიმართულება</u>: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: პოლიტიკის მეცნიერება

სწავლების საფეხური: ბაკალავრიატი

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები/კოორდინატორი: პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე; პროფესორი ალექსანდრე კუხიანიძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: №57/2011, დანართი 36

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №16/2012-1 მარტი, 2012; დადგენილება №30/2013 -18 თებერვალი, 2013; დადგენილება №81/2014-4 სექტემბერი, 2014; დადგენილება №22/2015 - 9 თებერვალი, 2015; დადგენილება №68/2015 - 6 ივლისი, 2015; დადგენილება № 137/2015 - 28 დეკემბერი 2015; დადგენილება № 22/2016 - 19 თებერვალი, 2016; დადგენილება № 23/2016 - 29 თებერვალი, 2016; დადგენილება № 9/2017 - 23 იანვარი, 2017; დადგენილება №21/2017 - 20 თებერვალი, 2017; დადგენილება №90/2017 - 25 ივლისი, 2017; დადგენილება №91/2018 - 19 მარტი, 2018; დადგენილება №199/2018 - 13 სექტემბერი, 2018; დადგენილება №25/2019 - 4 მარტი, 2019; დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2012-2013

საფაკულტეტო კურსები/მოდულები										
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები/მოდულები - 25 კრედიტი (ECTS)										
№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა (ECTS)	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში			სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ ლექტორები
			ლექცია	სამუშაო ჯგუფი/ პრაქტიკუმი	მუალედური და დასკვნითი			შემოდგომა	გაზაფხული	
1	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	5	15	15	5	90	არჩევა მე-2 სემესტრიდან	✓	✓	ნინო დურგლიშვილი თეონა მატარაძე ნათელა დონაძე მარინა ბურძენიძე შორენა თურქიაშვილი თამარ ქარაია დავით სიჭინავა მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი
2	ინგლისური ენა 1 (A 1.1; A 2.1; B 1.1; B 2.1;)	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის პედაგოგი
3	სტატისტიკა	5	30	30	5	60	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ომარ ფურთუხია პეტრე ბაბილუა მზევინარ ფაცაცია სიმონ ელოშვილი ნორა კეკელია

										ალექსანდრე ტყეშელაშვილი მიმოზა ტყებუჩავა ქეთევან მანჯგალაძე
4	აკადემიური წერა	5	15	15	0	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ ვეფხვაძე ნათია სვანიძე ლელა წიქარიშვილი თინათინ მაჭარაშვილი მირანდა გიორგაშვილი მირანდა აბრამიშვილი მარიამ კვერღელაძე
5	ინგლისური ენა 2 (A 1.2; A 2.2; B 1.2; B 2.2)	5	30	30	5	60	ინგლისური ენა 1		✓	ენების ცენტრის პედაგოგი
საფაკულტეტო (საბაზისო) არჩევითი კურსები/მოდულები - მინიმუმ 10[1] კრედიტი (ECTS)										
1	ანთროპოლოგია	5	30	0	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თეონა მატარაძე
2	გამოყენებითი ეკონომიკა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯამლეტ ჯანჯღავა
3	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	გუგული მაღრაძე ლაშა ტუღუში
4	ლოგიკა	5	30	0	5	90	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნინო თომაშვილი
5	ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ისტორია	5	30	0	4	91	წინაპირობის გარეშე	✓		ზურაბ დავითაშვილი კოსტანტინე შუბითიძე
6	მეტყველების კულტურა (არაჟურნალისტებისთვის)	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე		✓	იური ფოფხაძე ნინო გელოვანი
7	ფილოსოფიის საფუძვლები	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერიან რამიშვილი
საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსები (15 კრედიტი) (სტუდენტებს ევალებათ 3 საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსის გავლა)										
1	სოციალური მუშაობის შესავალი	5	15	15	4	91	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზურაბ ტატანაშვილი მაგული შაღაშვილი გიორგი წოწკოლაური

[1] **ამოქმედდეს 2020-2021 წლის გაზაფხულიდან მე-6 სემესტრსა და მის ქვემოთ მყოფი სტუდენტებისთვის** (მე-8 და მე-7 სემესტრის სტუდენტებისთვის, რომელთაც უკვე გავლილი აქვთ საფაკულტეტო ერთი 5 კრედიტიანი საგანი, 10 კრედიტის გავლა სავალდებულო არ არის)

2	საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალი	5	30	15	4	76	წინაპირობის გარეშე	✓	✓	იოსებ სალუქვაძე თამარ დოლბაია გიორგი კვინიკაძე ლუიზა აბაზაძე მაია ჟღენტი
3	სოციოლოგიის შესავალი	5	15	15	6	89	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ამირან ბერძენიშვილი იაგო კაჭკაჭიშვილი ნათელა დონაძე კახა ქეცბაია შორენა თურქიაშვილი ნინო ამონაშვილი
4	საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თორნიკე თურმანიძე ზურაბ დავითაშვილი ფიქრია ასანიშვილი კოსტანტინე შუბითიძე
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის შესავალი	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა შამილიშვილი მარი წერეთელი ხათუნა კაჭარავა
პოლიტიკის მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსები - 45 კრედიტი (ECTS)										
1	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა მალხაზ მაცაბერიძე გია ჟორჟოლიანი ზვიად აბაშიძე კორნელი კაკაჩია ელენე გელაშვილი ლადო ნაფეტვარიძე
2	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
3	შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ზვიად აბაშიძე
4	მსოფლიო პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	კორნელი კაკაჩია ალექსანდრე წურწუმია
5	პოლიტიკური კომუნიკაცია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე

										ირინე ჭუმბურიძე
6	საჯარო პოლიტიკა	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნანა მაჭარაშვილი
7	საქართველოს პოლიტიკური სისტემა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე ეკა დარბაიძე
8	საბაკალავრო ნაშრომი	10	–	–	-	250	სტუდენტს სპეციალობაში უნდა ჰქონდეს მინიმუმ 95 კრედიტი	✓	✓	პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი
პოლიტიკის მეცნიერებაში საბაკალავრო პროგრამის არჩევითი კურსები - 75 (ECTS):										
1. თემატური კონცენტრაცია - პოლიტიკური თეორია										
1	პოლიტიკური იდეოლოგიები	5	15	30	5	75	პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)	✓	✓	სალომე დუნდუა კორნელი კაკაჩია
2	პოლიტიკური თეორიის ძირითადი პრობლემები	5	15	30	5	75	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	ზვიად აბაშიძე
3	დემოკრატიზაცია და ტრანზაცია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	გია ჟორჟოლიანი
4	პოლიტიკური მეცნიერების ისტორია: ძირითადი სკოლები და მიმართულებები	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე ელენე გელაშვილი
5	შესავალი ნაციონალიზმის კვლევებში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	დავით მაცაბერიძე ზვიად აბაშიძე ირაკლი ჩხაიძე ნინო მაისურაძე
6	ქართული პოლიტიკური აზრი	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე თინა ცხოვრებაძე ნათია ზედგინიძე
7	პოლიტიკური ანთროპოლოგია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		სალომე დუნდუა
8	ივანე ჯავახიშვილის პოლიტიკური კონცეფცია	5	15	15	5	90	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე თინა ცხოვრებაძე

										ლიკა თეთრაძე დავით სართანია
9	ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე		✓	გიორგი მელიქიძე
10	საბჭოთა კავშირი: პოლიტიკა და იდეოლოგია	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე თამარ ორჯონიკიძე
11	ახალი დროის პოლიტიკური აზრი*	5	30	15	5	75	პოლიტიკურ მოძღვრებებთა ისტორია (ანტიკურობიდან ახალ დრომდე)		✓	სალომე დუნდუა სანდრო ტაბატაძე
2. თემატური კონცენტრაცია - შედარებითი პოლიტიკა, რეგიონებისა და ქვეყნების პოლიტიკა										
1	დასავლეთ ევროპის ქვეყნების შედარებითი პოლიტიკა	5	30	15	6	74	წინაპირობის გარეშე	✓		ვალერიან დოლიძე
2	მართვა-გამგეობა და პოლიტიკა ცენტრალურ და აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ქვეყნებში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	ზვიად აბაშიძე
3	კავკასიის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე ლიკა თეთრაძე თინა ცხოვრებაძე ლევან ლორთქიფანიძე
4	შედარებითი პარტიული პოლიტიკა და პარტიული სისტემები	5	30	15	7	73	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი; შედარებითი პოლიტიკა და პოლიტიკური იდეოლოგიები	✓	✓	კორნელი კაკაჩია
5	გეოპოლიტიკა: წარსული და თანამედროვეობა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ალექსანდრე წურწუმია
6	გეოპოლიტიკის კლასიკური თეორიები და საქართველო	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე ლადო ნაფეტვარიძე თინა ცხოვრებაძე პაატა შარაშენიძე ლიკა თეთრაძე
7	გლობალიზაცია და	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ავთანდილ ტუკვაძე

	საერთაშორისო ორგანიზაციები									კორნელი კაკაჩია
8	პოლიტიკა და ძალადობა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ჯაბა ურუტაძე
9	საქართველოს გეოპოლტიკა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	ალექსანდრე წურწუმია
10	ახლო აღმოსავლეთის შედარებითი პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	ალექსანდრე წურწუმია
11	მსოფლიო მეოცე საუკუნეში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	მალხაზ მაცაბერიძე, თინა ცხოვრებაძე და თამარ ორჯონიკიძე
12	ლათინური ამერიკის შედარებით პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		ალექსანდრე წურწუმია
13	იდენტობა და პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		დავით მაცაბერიძე
3. თემატური კონცენტრაცია - საჯარო პოლიტიკა და ადმინისტრირება										
1	ეკონომიკა და საჯარო პოლიტიკა	5	30	30	7	58	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ვალერიან დოლიძე გიორგი მელიქიძე
2	საჯარო ადმინისტრირების თეორია და პრაქტიკა	5	15	30	6	74	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი	✓	✓	ნანა მაჭარაშვილი
3	საჯარო პოლიტიკის ანალიზის საფუძვლები	5	15	30	6	74	პოლიტიკის მეცნიერების შესავალი; საჯარო პოლიტიკა	✓	✓	ნანა მაჭარაშვილი
4	პოლიტიკური კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ალექსანდრე კუხიანიძე
5	სოციალური დაცვის პოლიტიკა და ისტორია	5	30	15	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ჯაბა ურუტაძე
4. თემატური კონცენტრაცია - სამოქალაქო განათლება და სამოქალაქო აქტივიზმი										
1	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	15	30	7	73	წინაპირობის გარეშე	✓	✓	თამარ ქარაია ეკა დარბაიძე

2	ადამიანის უფლებები პოლიტიკის კონტექსტში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მალხაზ მაცაბერიძე ლადო ნაფეტვარიძე ლიკა თეთრაძე თინა ცხოვრებაძე
3	არჩევნები და საზოგადოება	5	30	30	7	58	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ვალერიან დოლიძე
4	გენდერი პოლიტიკურ კონტექსტში	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ეკა დარბაიძე
5	მედია და პოლიტიკა	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓		მალხაზ მაცაბერიძე გიორგი მელიქიძე ირინე ჭუმბურიძე
6	პოლიტიკური კულტურა	5	15	30	6	74	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ავთანდილ ტუკვაძე
7	სამოქალაქო საზოგადოება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ეკა დარბაიძე
8	სამოქალაქო აქტივიზმი და ურბანული მოდელირება	5	15	30	5	75	წინაპირობის გარეშე		✓	ლევან ხუციშვილი
5. თემატური კონცენტრაცია - მომზადება კვლევისთვის										
1	პოლიტიკის კვლევის მეთოდები	5	15	30	5	75	სოციალურ მეცნიერებათა კვლევის მეთოდები	✓	✓	ალექსანდრე კუხიანიძე თამარ ქარაია
2	საბაკალავრო კვლევის დიზაინი	5	15	15	0	95	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ლევან კახიშვილი
3	სპეციალიზებული ინგლისური ენა	5	15	30	6	74	ინგლისური ენა1; ინგლისური ენა 2	✓	✓	ლიკა ბერძენიშვილი ნინო აბზიანიძე
თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)										

* ამოქმედდეს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან

პროგრამის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის ხარისხი სუზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სუფროსის ხელმოწერა: _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა: _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა:

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი